PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნინო ხაჩიძე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

წევრები:

ნინო გორგოშაძე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

ნია გუგუნავა (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)

(თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eusch Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2021 წლის 27 თებერვალს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარდგენილ იქნა განაცხადი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ, ქალაქ ფოთში (წმ. გიორგის ქ. N24) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ დამატების შესახებ, რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 მარტის N258014 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილ იქნა დაწესებულების მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დისტანციური წარმოების ფარგლებში გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

მიმდინარე წლის 9 აპრილს, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom-ის გამოყენებით განხორციელდა დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრა. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/განმახორციელებლებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შეხვედრის ფარგლებში ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოდგენილია სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 10 მაისის N8/2 გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცებულია თევზსაჭერი გემის ნავიგაციისა და გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმით გაწერილია იდენტიფიცირებული პრობლემები, აქტივობები, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი და შესაბამისობის ტიპი, აქტივობის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და სხვა. წარმოდგენილი შესაბამობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე, პირველ და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით დასკვნის აღწერით ნაწილში დაფიქსირებული შეფასება „არ შეესაბამება“ იცვლება „მეტწილი შესაბამისობით“, რადგან იდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსასწორებლად გათვალისწინებულია მაქსიმუმ 5 თვე. მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის პირველი ინდიკატორის (მატერიალური რესურსი) მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი და შეფასება იცვლება „მეტწილი შესაბამისობით“, თუმცა ადამიანური რესურსის მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი უცვლელი რჩება, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ახალდამატებულ განმახორციელებელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლებელია პირის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურება.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

PDF Eraser Free

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული იმ რეკომენდაციების შესახებ, რომელთა შესრულების შემოწმება კავშირშია მიმდინარე წარმოებასთან:

- რეკომენდებულია, რომ პროფესიული სწავლების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ტერმინოლოგია შესაბამისობაში იქნას მოყვანილი 2018 წლის 20 სექტემბერს მიღებულ „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალ კანონთან - არ არის შესრულებული;
- რეკომენდებულია, რომ პროფესიული სტუდენტების განმეორებითი შეფასების მექანიზმების დახვეწის მიზნით, მარეგულირებელ დოკუმენტაციის შესაბამის ნაწილში ნათლად ჩამოყალიბდეს განმეორებითი შეფასების პირობები, მეორეს მხრივ სასწავლო გეგმების შედგენისას გათვალისწინებული იყოს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის ინტერვალის დაცვით - არ არის შესრულებული.
- რეკომენდებულია, რომ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის პარეგულირებელი წესში“ წარმოდგენილ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში გაიწეროს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული წესი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული წესი - არ არის შესრულებული;
- რეკომენდებულია, რომ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ დაკონკრეტდეს, თუ რამდენი მოდულის ვერ დაძლევა გახდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი; დაკონკრეტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და შეჩერების საფუძვლები - არ არის შესრულებული;
- რეკომენდებულია, რომ წესდებაში, მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გაიმიჯნოს მოწვეული მასწავლებლის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ცნება, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიულ განათლებაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად - არ არის შესრულებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

2. თევზსაჭერი გემის ნავიგაციის საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი ასევე არის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის საწარმოო პრატიკის განმახორციელებელი პირი. თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროგრამისათვის საწარმოო პრაქტიკა იწყება 34-ე კვირას, გრძელდება 58 კვირის ჩათვილით და კვირეული დატვირთვა შეადგენს 36-37 საათს, ხოლო სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამით საწარმოო პრაქტიკა იწყება 48-ე კვირაში, გათვალისწინებულია 35 საათიანი კვირეული დატვირთვა და გრძელდება 76-ე კვირის ჩათვლით. დაწესებულების წარმოამდგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებლის დატვირთვა პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის მსგავსია. აღნიშნულიდან გამომდინარე 48-58 კვირის დატვირთვა საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებლისთვის შეადგენს დაახლოებით 71-72 საათს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექს. ასევე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესით ირკვევა, რომ მოწვეულ მასწავლებელთა სააუდიტორიო დატვირთვა განსაზღვრულია კვირაში არაუმეტეს 25 საათით. გამომდინარე იქიდან, რომ ერთი განმახორციელებელის მიერ თითქმის შეუძლებელია კვირაში 71-72 საათის ჩატარება, პროგრამის განხორციელების მდგრადობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რაც იწვევს სტანდარტის ინდიკატორის დარღვევას. შესაბამისად, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ითვალისწინებს პროგრამაში განმახორციელებლის დამატებას და მასთან ხელშეკრულების გაფორმებას, ახალი განმახორციელებლის კვალიფიკაციის დადასტურება წარმოდგენილი წინარე ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლებელია.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2020-2024 წლების პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა, მიზანშეწონილია აკადემიამ განახორციელოს ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტში ცვლილება ან ცალკე შექმნილი პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა შექმნას 7 წლისთვის, როგორც ამას ავტორიზაციის სტანდარტი ითვალისწინებს.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანის მიზნით რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კოორდინირებას უწევს პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიაში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებაზე, მიზანშეწონილია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

2. თევზსაჭერი გემის ნავიგაციის საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი ასევე არის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის საწარმოო პრატიკის განმახორციელებელი პირი, რომლის 48-58 კვირის კვირეული დატვირთვა შეადგენს დაახლოებით 71-72 საათს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კანონს. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად და სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დატვირთვა მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებელ პირად დამატებით შეარჩიოს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პირი.

4.1.1. პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიაში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი აქტიურად არის ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში და შემდგომ ასევე ახდენს, შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. ინტერვიუირებით ასევე ირკვევა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფში შედის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. გამომდინარე იქიდან, რომ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, მიზანშეწონილია ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს.

მიზანშეწონილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილი აქტივობებისთვის გათვალისწინებული ვადები, ავტორიზაციის სამი სტანდარტის მიმართებით, სრულად და ზედმიწევნით იქნას დაცული.

განვითარების რეკომენდაცია

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი განსაზღვრავს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია პროფესიული მომზადების ცენტრი, მაგრამ არ არის აღნიშნული რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვალდებულება და უფლებამოსილება ასევე აქვს ფოთის ფილიალს - საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრს, რომლისთვისაც ეს უფლებამოსილება განსაზღვრულია ფოთის ფილიალის დებულებით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მარეგულირებელი წესი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“ შესაბამისობაში მოეყვანა დაწესეულებაში არსებულ პრაქტიკასა და ფოთის ფილიალის დებულებასთან. ასევე, უფრო ნათლად და მკაფიოდ განესაზღვრა ფუნქციონალური ურთიერთაკავშირი და მოვალეობები ამ ორ სტრუქტურას შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში გაწერილია შემდეგი: „ასოცირებული ხარისხის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის თევზსაჭერი გემის ნავიგაციის მოკლე ციკლის პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 88 კრედიტი“. ასევე, გაწერილია შემდეგი: „სსიპ სასწავლო უნივერსიტეტს „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ ჩარჩო დოკუმენტის „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ საფუძველზე შემუშავებული აქვს ასოცირებული ხარისხის შესაბამისი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა - „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“.“ პროგრამის ფარგლებში არ გაიცემა ასოცირებული ხარისხი და არც პროგრამა წარმოადგენს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს არსებული შეუსაბამობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ცხრილი „უცხოური ენის“ მოდულის სახელწოდების ნაცვლად მიუთითებს „ინგლისური ენის“ მოდულს, რაც არ არის მიზანშეწონილი.
- პროგრამა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას“. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირებას ახდენს და ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ადაპტირების შემდეგ, დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს სიტყვა „პროგრამა“;
- პროგრამაში გაწერილია შემდეგი: „პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება“. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტს არ უწევს საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლა. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობები.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს:
  „დანართი 1.1 - პროგრამა;
  დანართი 1.2 - ადაპტირებული მოდულები;
  დანართი 1.3 - სასწავლო გეგმა.“
  სასურველია თითოეული დანართის შესახებ ინფორმაციას მოიცავდეს პროგრამა, მით უფრო, რომ თითოეულ მოდულს მითითებული აქვს შესაბამისი დანართის ნომერი. მაგალითად მოდული „საზღვაო რეგულაციები“ არის დანართი 6,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მოდული „საპრაქტიკო სამუშაოები“ არის დანართი 10. ასევე, სასურველია პროგრამას დანართის სახით გაწერილი ჰქონდეს სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსზე და საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე ინფორმაცია.

- ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოდული სარეგისტრაციო ნომრით „0230101“ არის უცხოური ენის მოდული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოდულს ამავე სარეგისტრაციო ნომრით ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მითითებული აქვს „ინგლისური ენა“. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას უფლება არ აქვს ცვლილება შეიტანოს ზოგადი ინფორმაციის ნაწილში, უცხო ენის კონკრეტიზაცია შესაძლებელია მოდულის თავფურცელზე.
- დაწესებულებამ მოდულის განხორციელების მიდგომებში არსებული ჩანაწერების ადაპტირება სრულად უნდა უზრუნველყოს. მაგალითად, უცხოური ენის მოდულში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „სწავლების პროცესში რეკომენდებულია სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება. მოდულის ფარგლებში დასახული შედეგების მისაღწევად უცხოური ენის სწავლება გაიშლება შემდეგი მიმართულებით: ა) მოსმენა, ბ) კითხვა, გ) წერა, დ) ლაპარაკი, ე) უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება. მოსმენის ეტაპზე რეკომენდებულია საშუალო მოცულობისა და სირთულის დიდაქტიზებული, ასევე ნახევრად ავთენტიკური ტექსტების გამოყენება. შესაფასებელ პირს მოეთხოვება ტექსტის ამომწურავად გაგება და ენობრივი მოვლენების შესწავლა/გაანალიზება.“
- მოდულები „საზღვაო და თევზჭერის ეკოლოგია“, „საზღვაო რეგულაციები“ შეფასების მეთოდებში ითვალისწინებს შემდეგს: „სამუშაო ჯგუფში მუშაობისას დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება, განმსაზღვრელი შეფასებების მიცემა, პროფესიული სტუდენტის მიერ საპრეზენტაციო საშუალებაში მომზადებული მასალის შეფასება.“, ხოლო მტკიცებულად გაწერს „ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის კითხვარი/შეფასების ფურცელი; ბ) წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას;“. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების მეთოდად გაწერილია პროფესიული სტუდენტის მიერ საპრეზენტაციო საშუალებაში მომზადებული მასალის შეფასება, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს მტკიცებულებაშიც. შესაბამისად, სასურველია ზოგად და პროფესიულ მოდულებში შეფასების მეთოდები და მტკიცებულებები სრულად გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან.
- მოდულში „თევსაჭერი გემების ექსპლუატაცია და მართვა“ ჩარჩენილია მოდულების შემუშავებაში მონაწილე პირებზე ინფორმაცია და არაა გაწერილია მოდულის განმახორციელებლებზე ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნ.ბუბუნაია

PDF Reader Free

- მოდულებში „ქართული ენა A2” და „ქართული ენა B1” ჩარჩენილია სიტყვა სარეკომენდაციო. მაგალითად, „სწავლის შედეგის შესაბამისი სარეკომენდაციო თემატიკა“, „სწავლების სარეკომენდაციო მეთოდები“.
- სასურველია ქართული ენის მოდულებს შესაბამისი დონის სასწავლო რესურსი დაემატოს, რადგან ძირითადად გრამატიკის სახელმძღვანელოებია მითითებული. შესაბამისად, შესაძლებელია მოდულს სასწავლო რესურსად დამატებით მიეთითოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდულში მითითებული ორი ელექტრონული სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელო და სასწავლო რვეული).
- მოდულს „ქართული ენა B1” პროგრამის სახელწოდებაში მითითებული აქვს „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება გასწორდეს.
- ქართული ენის მოდულს (B1) საკონტაქტო და შეფასებისთვის გათვალისწინებული აქვს 296 საათი, ხოლო სასწავლო გეგმით გაწერილია 295 საათი. შესაბამისად, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გასწორდეს არსებული ტექნიკური უზუსტობა.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. დარგობრივი მახასიათებლებით მოთხოვნილია შიგა წვის ძრავის არსებობა. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული წვრთნები განხორციელდება ბათუმის სამანქანე განყოფილების დარბაზში. თუმცა დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული განხორციელების ადგილად ბათუმი თავის მოდულებში ან სხვა რაიმე დოკუმენტში. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოდულში განსაზღვროს მოდულით მოთხოვნილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო პრატიკული წვრთნების განხორციელების ადგილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ექსპერტებმა დისტანციური წარმოების დროს დააადგინეს რომ ფოთში პროგრამის განხორციელების ადგილზე არის ცეცხლმაქრები, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, თუმცა თავად ხანძართან ბრძოლის ტრენაჟორი არ არის და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს დაწესებულების წარმომადგენლებმა ამ კონკრეტულ წვრთნას ისინი ჩაატარებენ ბათუმის ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორზე. ასევე, წყალში გადარჩენის პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად მეცადინეობები ჩატარდება აუზში, სადაც შესაძლებელია წყალში ხტომა სიმაღლიდან, გადაადგილება, სამაშველო ნავში/ტივში ჩასხდომა ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით, ასევე სამაშველო ნავის/ტივის ჩაშვება და მოდულით გათვალისწინებული სხვა დავალებების შესრულება, თუმცა დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული განხორციელების ადგილად ბათუმი თავის მოდულებში ან სხვა რაიმე დოკუმენტში. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოდულში განსაზღვროს მოდულით მოთხოვნილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო პრატიკული წვრთნების განხორციელების ადგილი.

3. სასურველია პოტენციურ პროგრამის განმახორციელებელთა ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მოდულების ადაპტირების ეტაპზე იყოს მაღალი და მათ ინფორმაცია ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რა სახის ცვლილებების განხორციელების უფლება აქვთ მოდულში. ამისთვის, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, სადაც ამ კუთხით იქნება ინფორმაცია გაწერილი. ასევე, მათვის განხორციელდეს ტრენინგები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტებისა და კალენდარული გეგმების შემუშავების შესახებ. ასევე, მიზანშეწონილია აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი იყოს სპეციალური ინგლისურის მოდულის განმახორციელებლებისთვის საზღვაო ინგლისური ენის ტერმინოლოგიისა და სწავლების მეთოდების გაცნობა.

4. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია წინარე ხელშეკრულებაში. სასურველია დაწესებულებამ კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც იქნება რომელიმე მარეგულირებელი დოკუმენტის ნაწილი.

5. პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს არ აქვთ მითითებული, რომ ბიბლიოთეკაში დაცულია მისი ელექტრონული ვერსია. შესაბამისად, სასურველია მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს მითითებული ჰქონდეს, რომ ეს არის ელექტრონული ვერსია.

7. პროგრამაზე რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 6 მსმენელი. სასურველია მსმენელის ნაცვლად, დაწესებულების მიერ გამოყენებული იყოს პროფესიული სტუდენტი.

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

2. დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრისთვის წინადადებების ინიცირებების გზით. შესაბამისად, სასურველია დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესში გაწერილი და გამიჯნული იყოს, როგორც ცენტრში ცვლილებების ინიცირების, ასევე საკუთარი ცვლილებების ინიცირების შესაძლებლობა. ასევე, როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ (მაგ: არის თუ არა ცვლილების შესახებ ინფორმაცია გასაგზავნი ცენტრში).

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. ქართული ენა B1-ზე დაშვების წინაპირობაა მოდული „ქართული ენა A2”, თუმცა სასწავლო გეგმით ამ მოდულებს შორის არ იკვეთება ინტერვალი. შესაბამისად, სასურველია მოდულებს შორის იკვეთებოდეს ინტერვალი.

4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები. დაწესებულების მიერ ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება შეზღუდული შესაძლებლობები, პროგრამაში ცვლილება ან მისი გაუქმება. სასურველია ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილებოდეს ყველა ისეთი შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უნდა უზრუნველყოფდეს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ასევე, სასურველია აღნიშნული წესი არ იყოს ინტეგრირებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესში.

5. სასურველია გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს, გაწერილი იყოს მოდულები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა. აღსანიშნავია რომ მემორანდუმებში მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მაგრამ არ არის აღნიშნული კონკრეტულად რომელ გემებს სთავაზობს კომპანია პრაქტიკის გავლისთვის. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განაახლოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
პრაქტიკის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები და მას დამატებით დაურთოს იმ გემების სია, გემების მახასიათებლების მითითებით, სადაც მოხდება პროფესიული სტუდენტებისთვის პრატიკის გავლა.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების საკითხები, შეფასების ინსტრუმენტის შიდა მონიტორინგის მექანიზმები, სწავლის შედეგების გასაჩირვების პროცედურა, განმეორებითი შეფასების განხორცილების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. სასურველია აღნიშნულ რეგულაციაში დამატებით გაწერილი იყოს შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ რა ვადებში ხდება პროფესიული სტუდენტის ინფორმირება, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს უფლება გავიდეს განმეორებით შეფასება, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს, უკვე გამოყენებული თუ ახალი; სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების პროცედურაში გაწერილი იყო რა ვადაში ახდენს საჩივრის განხილვასა და შესაბამისი დასკვნის შემუშავებას ცენტრის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ასევე გაწერილია, რომ უარყოფითი შედეგის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე, თუკი ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აითვისოს წინმსწრები მოდული მომდევნო მოდულის დაწყებამდე, ან აითვისოს ორივე მოდული (წინმსწრები და მომდევნო) პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების ათვისების შემდეგ მომდევნო ჯგუფთან. ასევე, თუ სტუდენტი შედეგის დადასტურებაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს შეფასების აღდგენის თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრის უფროსს აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღისა. ამავე რეგულაციით ასევე გაწერილია, რომ სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე შესაძლებელია ერთი მიმართულების რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება (შედეგების გაერთიანება). თუ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

სტუდენტი ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით ვერ გამოცხადდა მოდულის ბოლოს, თუნდაც ბოლო სწავლის შედეგის შეფასებაზე, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, მას ისედაც აქვს უფლება გავიდეს განმეორებით შეფასებაზე. დაწესებულების მიერ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ძირითადად გათვალისწინებულია ორკვირიანი ინტერვალი, ხოლო საწარმოო პრაქტიკის მოდულისთვის სამკვირიანი ინტერვალი. სწავლის შედეგის დადასტურებაზე ვერგამოცხადების შესაბამისი მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღის გათვალისწინებით, ორკვირიანი ინტერვალის შემთხვევაში სტუდენტი ვერ დაიშვება იმ მოდულზე, რომელიც წარმოადგენს სხვა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობას. ასევე, არაა გაწერილი რა ვადებში ხდება საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების აღდგენა. ასევე, ამ შემთხვევაში ვრცელდება თუ არა ამავე წესის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნები (ფაქტიურად მე-13 პუნქტი არაა, რადგან მე-8 მუხლი იწყება მე-7 პუნქტით). ამავე რეგულაციაში ვხვდებით რამდენიმე ტექნიკურ ხარვეზს. კერძოდ, სხვადასხვა მიმართებები სხვადასხვა მუხლებსა თუ პუნქტებს შორის არასწორია, სხვადასხვა მუხლის მოთხოვნათა გავრცელების საკითხების მითითებისას, არასწორადაა მუხლი, ან/და პუნქტი გაწერილი და სხვა. ასევე, რეგულაციებში ვხვდებით პროფესიული განათლებისთვის შეუსაბამო ტერმინებს. მაგალითად, აკრედიტაცია, აკრედიტირებული დაწესებულება, მოწვეული მასწავლებელი, მოდულის ათვისება, აბიტურიენტი და სხვა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში საზღვაო აკადემიის შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შემდეგი არჩევანის საშუალება:

- პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძონ მოდიფირებულ პროგრამაზე;
- პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სასურველია აღნიშნულ რეგულაციაში იკვეთებოდეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამა დაასრულოს მილევად რეჟიმში.

სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი სრულად გადაიხედოს, რადგან მათში გაწერილი წესები და ვადები სრულად გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან, ასევე კანონმდებლობიდან და დაეყრდნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N120/ნ ბრძანებას „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებას „ფორმალური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Erase Free

ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების“ შესახებ და 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებას „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ დამტკიცების შესახებ. ასევე, კანონმდებლობიდან გამომდინარე, გამოიყენოს პროფესიულ განათლებაში გამოყენებული ტერმინები ისე, რომ არ იკვეთებოდეს ბმა უმაღლეს განათლებაში გამოყენებულ ტერმინებთან.

2. გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით, რადგან გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელ პირთან.

გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცებულებათა ვერიფიკაცია ხდება შერჩევით, უარყოფითი შედეგების დაფიქსირების შემთხვევაში სასურველია გაწერილი იყოს რა ნაბიჯები გადაიდგმება ამის შემდეგ დაწესებულების მიერ. მაგალითად, მტკიცებულებათა შერჩევის ზომა გაიზრდება თუ სხვა. სასურველია რეგულაციით დამატებით გაწერილი იყოს ვინ ახდენს ვერიფიკაციის დასკვნის შემუშავებას, ვისთან ხდება დასკვნის განხილვა, რა შემთხვევაში მუშავდება სამოქმედო გეგმა და სხვა. ასევე, სასურველია რეგულაციაში გასწორდეს გამოყენებული ტერმინები.

4. ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შეფასების დასრულების შემდეგ პროფესიული მასწავლებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ანალიზის საფუძველზე, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შედეგების შესახებ, აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნული არ იკვეთება რეგულაციით. შესაბამისად, მიზანშეწონილია არსებული პრაქტიკა რეგულაციითაც დასტურდებოდეს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ რეგულაციაში ამ მხრიც ცვლილებების განხორციელება დაწყებულია, თუმცა ეს პროცესი წარმოების ფარგლებში დასრულებული არ იყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია
პროფესიული განათლების დონე	5
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში /Higher Vocational Qualification in Fishing Vessel Navigation
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით № 2/5 – 09.02.2021 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღაო აკადემიის ფოთის ფილიალის საზღვაო-საწვრთნელი ცენტრი ქ. ფოთი, წმ. გიორგის N24 სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი ქ. ფოთი, წმ. გიორგის N24 ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N53 მოდულური (იხ. დასაბუთება)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნ. ბუბუნაიშვილი

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	**არ შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2020 წლის 24 ივლისის N12/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვა. პროგრამის დამატების დასაბუთებული ინიცირება შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე ხორციელდება წერილობითი ფორმით. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს საზღვაო აკადემიის სენატი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ხდება სენატის გადაწყვეტილებით, სენატის რეგლამენტის შესაბამისად. პროგრამის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანის მიზნით რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები და პოტენციური დამსაქმებლები. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელად აირჩევა შესაბამისი დარგის მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტი/ აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის სტრუქტურისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობას, უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესის კოორდინაციას, საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოზიდვას, მოდულების ადაპტირებას. სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას უწევს პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი. პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის წინაშე, რომელიც სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგს წარადგენს საზღვაო აკადემიის სენატზე დასამტკიცებლად. სენატი უფლებამოსილია დაამტკიცოს პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე, ის აქტიურად არის ჩართული პროცესში და შემდგომ ასევე ახდენს, შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებას. სასურველია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ ახდენდეს მის მიერვე აქტიური ჩართულობით შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, რადგან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, რაც იწვევს ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის დარღვევას. შესაძლებელია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პროგრამის შემუშავების პირველ ეტაპზე ახდენდეს სამუშაო ჯგუფის დატრენინგებას. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიაში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებაზე, მიზანშეწონილია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, რომლითაც გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნ.ბუბუნაია

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი განსაზღვრავს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია პროფესიული მომზადების ცენტრი, მაგრამ არ არის აღნიშნული რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვალდებულება და უფლებამოსილება ასევე აქვს ფოთის ფილიალს - საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრს, რომლისთვისაც ეს უფლებამოსილება განსაზღვრულია ფოთის ფილიალის დებულებით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მარეგულირებელი წესი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“ შესაბამისობაში მოეყვანა დაწესეულებაში არსებულ პრაქტიკასა და ფოთის ფილიალის დებულებასთან. ასევე, უფრო ნათლად და მკაფიოდ განესაზღვრა ფუნქციონალური ურთიერთაკავშირი და მოვალეობები ამ ორ სტრუქტურას შორის.

დაწესებულების მიერ ჩამოყალიბებული მისია დაფუძნებულია დაწესებულების ხედვაზე და შესაბამისად არის დაწესებულების ღირებულებების საფუძველი. აკადემიის მისიაში გაცხადებულია დაწესებულების სწრაფვა მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი უმაღლესი და პროფესიული განათლების საფუძველზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სენატის 2020 წლის 29 ივლისის N13/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია განვითარების სტრატეგიული გეგმა, თუმცა დოკუმენტის შეფასებისას ირკვევა, რომ ის შემუშავებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2017 წლის 21 ნოემბრის N01-80 ბრძანების „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ შესაბამისად ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ და განსაზღვრავს საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო აქტივობების შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებს, გრძელვადიან მიზნებს და ამ მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს მომდევნო 7 წლის (2018-2024წწ.) განმავლობაში. განვითარების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პროფესიული განათლების განვითარება. პროფესიული განათლების მნიშვნელობიდან და საზოგადოებისა და სახელმწიფოს მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა პროფესიული განათლების განვითარებისთვის ცალკე დოკუმენტად შეიმუშავა „პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა“. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა (2020-2024წწ.) დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/2 გადაწყვეტილებით. კერძოდ, 2020-2024 წლებში საზღვაო აკადემიისათვის პრიორიტეტულია:

- ქალაქ ფოთში საზღვაო აკადემიის ფილიალის გახსნა და ფილიალში პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული წარმატებების მაღალი დონის მიღწევა;
- პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკების განხორციელება ინდუსტრიის შესაბამის სექტორში;
- უწყვეტი განათლებისა და დისტანციური სწავლების სისტემის განვითარება პროფესიულ განათლებაში.

პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე, გაწერილია 9 სტრატეგიული მიზანი, რომლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნის „პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით“ ფარგლებში ამოცანას წარმოადგენს „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, განხორციელება და შემდგომი განვითარება“. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით ირკვევა, რომ თევზსაჭერი გემის ეკიპაჟები ძირითადად გამოცდილი პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც ცოდნა გამოცდილების შედეგად მოიპოვეს და შესაბამისი ტრენინგ კურსით მიიღეს კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შრომითი ბაზრის შესწავლამ დაადასტურა მოთხოვნა კვალიფიცირებულ მეთევზე-მეზღვაურებზე, რომლებიც ჩაანაცვლებენ სხვა ქვეყნის მეთევზეებს საქართველოს შრომის ბაზარზე და ხელს შეუწყობენ მეთევზეობის, როგორც დარგის აღორძინებასა და მის შემდგომ განვითარებას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საზღვაო აკადემიამ ინიცირება გაუკეთა მეთევზე-მეზღვაურის მომზადების საგანმანათლებლო სტანდარტის და შედეგად საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, ხოლო ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩაბმული თევზჭერის დარგის გამოცდილი სპეციალისტები, ლიცენზიანტები და მცურავი საშუალებების მფლობელები.

შესაბამისად, აკადემიის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა სტრატეგიული გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ის არ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველ სტანდარტს, რადგან დაწესებულების მიერ არ არის შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ მათ შემუშავებული ჰქონდათ 2018-2024 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა, თუმცა შემდგომ გამიჯნეს და ცალკე დოკუმენტად, 2020 წელს ძირითადი სტრატეგიის დარჩენილი ვადით, შეიმუშავეს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა ანუ 2020-2024 წლების პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა. მიზანშეწონილი იყო აკადემიას განეხორცილებინა ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტში ცვლილება ან ცალკე შექმნილი პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა შეექმნა 7 წლისთვის, როგორც ამას ავტორიზაციის სტანდარტი ითვალისწინებს. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მიერ არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.
შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციაზე აუმჯობესებს სტანდარტების შეფასებას.
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენა და ასაკი - არანაკლებ 17 წელი.
3. აკადემია საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით (N13/12 – 27.11.2018) დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი მეთოდოლოგიით:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები) ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ სტუდენტებს არ აქვთ ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (ორ ცვლაში);
- პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის გასავლელი ობიექტის ხელმისაწვდომობა (ხელშეკრულებით უზრუნველყოფა) და სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

- ადამიანური რესურსი (საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას უნდა ჰყავდეს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი).

4. თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
5. პროფესული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
6. სსიპ - სასწავლო უნივერსტიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის რეგლამენტით (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 30 ნოემბრის N18/20 გადაწყვეტილებით) განსაზღვრულია, რომ სენატი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ძირითადი და/ან დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს, სენატის მიერ 2021 წლის 09 თებერვლის N2/5 გადაწყვეტილებით.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. იგი თანხვედრაშია პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დასახელება ასევე არაა შეცდომაში შემყვანი, რადგან პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ სახელწოდებიდან.
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა. მოდულების ბლოკში, გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული (A2) და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ქართული ენა B1, რომელთა მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს არაქართულ ენაზე ტესტირების გავლის გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში გაწერილია შემდეგი: „ასოცირებული ხარისხის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის თევზსაჭერი გემის ნავიგაციის მოკლე ციკლის პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 88 კრედიტი“. ასევე, გაწერილია შემდეგი: „სსიპ სასწავლო უნივერსიტეტს „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ ჩარჩო დოკუმენტის „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ საფუძველზე შემუშავებული აქვს ასოცირებული ხარისხის შესაბამისი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა - „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“.“ პროგრამის ფარგლებში არ გაიცემა ასოცირებული ხარისხი და არც პროგრამა წარმოადგენს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს არსებული შეუსაბამობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ცხრილი „უცხოური ენის“ მოდულის სახელწოდების ნაცვლად მიუთითებს „ინგლისური ენის“ მოდულს.
- პროგრამა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას“. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირებას ახდენს და ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ადაპტირების შემდეგ, დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს სიტყვა „პროგრამა“;
- პროგრამაში გაწერილია შემდეგი: „პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება“. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტს არ უწევს საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლა. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობები.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს:
  „დანართი 1.1 - პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
დანართი 1.2 - ადაპტირებული მოდულები;
დანართი 1.3 - სასწავლო გეგმა.“
სასურველია თითოეული დანართის შესახებ ინფორმაციას მოიცავდეს პროგრამა, მით უფრო, რომ თითოეულ მოდულს მითითებული აქვს შესაბამისი დანართის ნომერი. მაგალითად მოდული „საზღვაო რეგულაციები“ არის დანართი 6, მოდული „საპორტო სამუშაოები“ არის დანართი 10. ასევე, სასურველია პროგრამას დანართის სახით გაწერილი ჰქონდეს სასწავლო გარემოსა და მატერიალურ რესურსზე და საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე ინფორმაცია.

- ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოდული სარეგისტრაციო ნომრით „0230101“ არის უცხოური ენის მოდული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოდულს ამავე სარეგისტრაციო ნომრით ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მითითებული აქვს „ინგლისური ენა“. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას უფლება არ აქვს ცვლილება შეიტანოს ზოგადი ინფორმაციის ნაწილში, უცხო ენის კონკრეტიზაცია შესაძლებელია მოდულის თავფურცელზე.
- დაწესებულებამ მოდულის განხორციელების მიდგომებში არსებული ჩანაწერების ადაპტირება სრულად უნდა უზრუნველყოს. მაგალითად, უცხოური ენის მოდულში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „სწავლების პროცესში რეკომენდებულია სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება. მოდულის ფარგლებში დასახული შედეგების მისაღწევად უცხოური ენის სწავლება გაიშლება შემდეგი მიმართულებით: ა) მოსმენა, ბ) კითხვა, გ) წერა, დ) ლაპარაკი, ე) უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება. მოსმენის ეტაპზე რეკომენდებულია საშუალო მოცულობისა და სირთულის დიდაქტიზებული, ასევე ნახევრად ავთენტიკური ტექსტების გამოყენება. შესაფასებელ პირს მოეთხოვება ტექსტის ამომწურავად გაგება და ენობრივი მოვლენების შესწავლა/გაანალიზება.“
- მოდულები „საზღვაო და თევზჭერის ეკოლოგია“, „საზღვაო რეგულაციები“ შეფასების მეთოდებში ითვალისწინებს შემდეგს: „სამუშაო ჯგუფში მუშაობისას დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება, განმსაზღვრელი შეფასებების მიცემა, პროფესიული სტუდენტის მიერ საპრეზენტაციო საშუალებაში მომზადებული მასალის შეფასება.“, ხოლო მტკიცებულად გაწერს „ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის კითხვარი/შეფასების ფურცელი; ბ) წერილობითი: პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას;“. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების მეთოდად გაწერილია პროფესიული სტუდენტის მიერ საპრეზენტაციო საშუალებაში მომზადებული მასალის შეფასება, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს მტკიცებულებაშიც. შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნ.ბუბუნაია

PDF Eraser Free

- სასურველია ზოგად და პროფესიულ მოდულებში შეფასების მეთოდები და მტკიცებულებები სრულად გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან.
- მოდულში „თევსაჭერი გემების ექსპლუატაცია და მართვა“ ჩარჩენილია მოდულების შემუშავებაში მონაწილე პირებზე ინფორმაცია და არაა გაწერილია მოდულის განმახორციელებლებზე ინფორმაცია.
- მოდულებში „ქართული ენა A2” და „ქართული ენა B1” ჩარჩენილია სიტყვა სარეკომენდაციო. მაგალითად, „სწავლის შედეგის შესაბამისი სარეკომენდაციო თემატიკა“, „სწავლების სარეკომენდაციო მეთოდები“.
- სასურველია ქართული ენის მოდულებს შესაბამისი დონის სასწავლო რესურსი დაემატოს, რადგან ძირითადად გრამატიკის სახელმძღვანელოებია მითითებული. შესაბამისად, შესაძლებელია მოდულს სასწავლო რესურსად დამატებით მიეთითოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდულებში მითითებული ორი ელექტრონული სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელო და სასწავლო რვეული).
- მოდულს „ქართული ენა B1” პროგრამის სახელწოდებაში მითითებული აქვს „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება გასწორდეს.
- ქართული ენის მოდულს (B1) საკონტაქტო და შეფასებისთვის გათვალისწინებული აქვს 296 საათი, ხოლო სასწავლო გეგმით გაწერილია 295 საათი. შესაბამისად, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გასწორდეს არსებული ტექნიკური უზუსტობა.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანებით „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი - ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთლნელი ცენტრის დებულებით;
- სსიპ - სასწავლო უნივერსტიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის რეგლამენტით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით;
- პროფესიული განათლების სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- განვითარების სტრატეგიული გეგმით;
- ჩარჩო დოკუმენტით;
- ინტერვიუირებით;
- მისიით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური რესურსების ჩამონათვალიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სიმულატორი, რომელიც უნდა ასახავდეს რეალურ გარემოს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მას შეძენილი აქვს სანავიგაციო სიმულატორი Wartsila Navi Profesional 5000, რომელიც აღჭურვილია სანავიგაციო მოწყობილობებით და მასზე სტუდენტის წვრთნისას მიიღწევა რეალური გარემოს სიმულაცია. აღნიშნულ სიმულატორზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Reader Free

წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატი, გაცემული იაპონური საკლასიფიკაციო ორგანიზაციის მიერ. ექსპერტების მიერ დისტანციურად მატერიალური რესურსის დაათვალიერების დროს დადასტურდა აღნიშნული სიმულატორის არსებობა.

პროგრამის განხორციელებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსი არის ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოდულისათვის განსაზღვრული ინვენტარი, რომელიც მოიცავს სამედიცინო მანეკენს, დეფიბლირატორს, სასუნთქ აპარატს, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარს, სამაშველო ტივს, ჟილეტს და სხვა. აღნიშნული ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილია დაწესებულების მიერ, რითიც დგინდება, რომ 11 200 ლარის სამედიცინო აღჭურვილობა დაწესებულებამ საჩუქრად მიიღო საოჯახო სამედიცინო ცენტრისგან. დისტანციური დათვალიერების დროს დაფიქსირდა აღნიშნული ინვენტარის არსებობა.

ექსპერტებმა დისტანციური წარმოების დროს დააადგინეს რომ ფოთში პროგრამის განხორციელების ადგილზე არის ცეცხლმაქრები, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, თუმცა თავად ხანძართან ბრძოლის ტრენაჟორი არ არის და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს დაწესებულების წარმომადგენლებმა ამ კონკრეტულ წვრთნას ისინი ჩაატარებენ ბათუმის ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორზე. თუმცა დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული განხორციელების ადგილად ბათუმი თავის მოდულებში ან სხვა რაიმე დოკუმენტში. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოდულში განსაზღვროს მოდულით მოთხოვნილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო პრატიკული წვრთნების განხორციელების ადგილი.

B გარემო აღჭურვილია კომპიუტერებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია გამარტივებული შესყიდვის აქტი, ჩუქების აქტი, რითიც დასტურდება, რომ დაწესებულებამ შეიძინა გამარტივებული შესყიდვით, ასევე ჩუქებით მიღებული აქვს კომპიუტერები სანაპირო დაცვისგან და GIZ –სგან. არსებული პროგრამის მიზნებისთვის გამოიყენება 15 ცალი კომპიუტერი.

აკადემიის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია შპს „მბმ“-თან, შპს „პოსეიდონი“-სთან, შპს „პალიასტომი 2004“-თან, შპს „კაპიტალ ინვესტ ბათუმი“-სთან, „საქართველოს მეთევზეთა კავშირი 2015“-თან და შპს „ზღვის პროდუქტები“-თან.

მემორანდუმები მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. მემორანდუმებით გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც ჯამში პროგრამაზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აღემატება. მემორანდუმების საგანს წარმოადგენს პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფა. კერძოდ, მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შემდეგნაირია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

- შპს „ბბმ“- არაუმეტეს 6 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „პოსეიდონი“- ყოველწლიურად არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „პალიასტომი 2004“- ყოველწლიურად არაუმეტეს 4 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „კაპიტალ ინვესტ ბათუმი“- ყოველწლიურად არაუმეტეს 6 პროფესიული სტუდენტი;
- „საქართველოს მეთევზეთა კავშირი 2015“- ყოველწლიურად არაუმეტეს 50 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ზღვის პროდუქტები“- ყოველწლიურად არაუმეტეს 40 პროფესიული სტუდენტი.

საწარმოო პრაქტიკა, რომელიც 40 კრედიტს წარმოადგენს სასწავლო გეგმის მიხედვით 34-ე კვირას იწყება და სრულდება 58-ე კვირას. აკადემია ასევე პრაქტიკისათვის იყენებს თავის მფლობელობაში არსებულ გემს კადეტს, რომელზეც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ფლობის დოკუმენტები.
დისტანციური წარმოების ფარგლებში განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო გარემოებში განთავსებული იყო აღჭურვილობებთან ერთად პროფესიულ სტუდენტთათვის სამუშაო მაგიდა და სკამი, თუმცა მათი რაოდენობა არ იყო საკმარისი, რადგან არ გამომდინარეობდა პროგრამაზე მოთხოვნილ ზღვრული რაოდენობიდან. დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი მერხების და სკამების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილია მხოლოდ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2021 წლის 02 აპრილის N319453 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ სააგენტოსა და ერთ-ერთ ორგანიზაციას შორის გაფორმდა ხელშეკრულება სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვაზე, მაგრამ ეს პროცესი დასრულებული არ არის. ასევე, პროგრამის ფარგლებში არაა წარმოდგენილი გარკვეული მატერიალური რესურსის, პოსტერების, რუკების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ამასთან დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.
შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციაზე აუმჯობესებს ინდიკატორის შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 27 ნოემბრის N13/12 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას უნდა ჰყავდეს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ 1 პირი. აღნიშნული ასევე განსაზღვრულია სენატის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. პროგრამის განმახორციელებლად განსაზღვრულია 6 პირი. მათგან 3 არის ზოგადი მოდულის განხორციელებელი, ხოლო 3 პირი დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი.

აღსანიშნავია რომ თევზსაჭერი გემის ნავიგაციის საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი ასევე არის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის საწარმოო პრატიკის განმახორციელებელი. თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროგრამისთვის საწარმოო პრაქტიკა იწყება 34-ე კვირას, გრძელდება 58 კვირის ჩათვლით და კვირეული დატვირთვა შეადგენს 36-37 საათს, ხოლო სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამით საწარმოო პრაქტიკა იწყება 48-ე კვირაში, გათვალისწინებულია 35 საათიანი კვირეული დატვირთვა და გრძელდება 76-ე კვირის ჩათვლით. დაწესებულების წარმოამდგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებლის დატვირთვა პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის მსგავსია. აღნიშნულიდან გამომდინარე 48-58 კვირის დატვირთვა საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებლისთვის შეადგენს დაახლოებით 71-72 საათს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კანონს. ასევე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესით ირკვევა, რომ მოწვეულ მასწავლებელთა სააუდიტორიო დატვირთვა განსაზღვრულია კვირაში არაუმეტეს 25 საათით. გამომდინარე იქიდან, რომ ერთი განმახორციელებელის მიერ თითქმის შეუძლებელია კვირაში 71-72 საათის ჩატარება, პროგრამის განხორციელების მდგრადობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რაც იწვევს სტანდარტის ინდიკატორის დარღვევას. შესაბამისად, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებელ პირად დამატებით შეარჩიოს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პირი.

3. აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
პირადი საქმეების შეფასებით დგინდება, რომ მოდულის განმახორციელებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია მოდულის განხორციელებისთვის. დარგობრივი მოდულების განმახორციელებლებს არ უფიქსირდებათ პედაგოგიური გამოცდილება, ხოლო ზოგადი მოდულების განმახორციელებლებს აქვთ პედაგოგიური გამოცდილება, მაგრამ არა მოდულური პროგრამების განხორციელების. დარგობრივი მოდულების ორი განმახორციელებელი ფლობს კაპიტნის კომპეტენციის სერტიფიკატს, ხოლო 1 არის უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე პირი გემთწამყვანის კვალიფიკაციით. მას ასევე გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციისათვის საჭირო შეფასებისა და შიდა ვერიფიკაციის ტრენინგი 2018 წელს.
პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ისინი თითქმის არ ყოფილან ჩართულნი მოდულების ადაპტირების პროცესში, არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა სახის ცვლილებების განხორციელების უფლება აქვთ მოდულებში, არც სასწავლო რესურსებზე მიუციათ დაწესებულებისთვის რეკომენდაცია, თუმცა ვარაუდობენ რომ მოდულებში გაწერილი სასწავლო რესურსით პროფესიულ სტუდენტებს გაიყვანენ სწავლის შედეგებზე. ამასთან სპეციალური ინგლისურის მოდული მოითხოვს სპეციალური ტერმინოლოგიის სწავლებას, რაც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის რეკომენდაციას უნდა შეესაბამებოდეს. ექსპერტთა შეფასებით ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულის განმახორციელებელს ესაჭიროება აღნიშნული სპეციფიკის და სწავლების მეთოდების გაცნობა და შესაბამისად საჭირო ტრენინგის ჩატარება, თუნდაც აკადემიის უცხო ენათა დეპარტამენტის ბაზაზე არსებული სპეციალისტების მიერ.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია პოტენციურ პროგრამის განმახორციელებელთა ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მოდულების ადაპტირების ეტაპზე იყოს მაღალი და მათ ასევე ინფორმაცია ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რა სახის ცვლილებების განხორციელების უფლება აქვთ მოდულში. ამისთვის, შესაძლებელია დაწესებულების მიერ შემუშავდეს გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, სადაც ამ კუთხით იქნება ინფორმაცია გაწერილი. ასევე, მათთვის განხორციელდეს ტრენინგები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტებისა და კალენდარული გეგმების შესახებ. ასევე, სასურველია აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი იყოს სპეციალური ინგლისურის მოდულის განმახორციელებლებისთვის საზღვაო ინგლისური ენის ტერმინოლოგიისა და სწავლების მეთოდების გაცნობა.
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს აკადემიის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პირი, რომელსაც გაჩნია უმაღლესი პროფესიული განათლება გემის ენერგეტიკული დანადგარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
სპეციალობით და თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში. ასევე, ის ფლობს შკიპერის კომპეტენციის სერტიფიკატს. მას ასევე გავლილი აქვს სხვადასხვა საწვრთნელი კურსები, ფლობს ინგლისურ ენას. ექსპერტთა შეფასებით მისი კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია სენატის 2021 წლის 09 თებერვლის N2/5 გადაწყვეტილებით. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა გრძელდება პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებამდე. წინარე შრომითი ხელშეკრულებით რეგულირდება ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომლის უფლებამოსილებაში შედის:

- პროგრამის შემუშავების პროცესის კოორდინაცია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოზიდვა, მოდულების ადაპტირება;
- პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (კალენდარული გეგმები; შეფასების ინსტრუმენტები) მომზადების კოორდინირება და წარდგენა მხარდაჭერის ჯგუფის წინაშე;
- პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით წინადადებების შემუშავება და წარდგენა შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წინაშე;
- საგანმანათლებლო პროგრამაში შესატანი ცვლილებების პროცესში მონაწილეობის მიღება.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუირებით დგინდება, რომ იცის თუ რა შედის, მისი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებში. თუმცა სასურველია დაწესებულებამ კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც იქნება რომელიმე მარეგულირებელი დოკუმენტის ნაწილი.
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული და მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. აკადემიის ვებ-გვერდიდან ელექტრონულ ბაზებზე EVEGreen და EBSCO წვდომა აქვს პროფესიულ სტუდენტებს. საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზებით სარგებლობისათვის მკითხველი ვალდებულია ჩაეწეროს ბიბლიოთეკაში, სადაც მას მიენიჭება ინდივიდუალური კოდი, აღნიშნული კოდით მკითხველს შეეძლება ისარგებლოს ელექტრონული სერვისებით. ელექტრონულ ბაზებში ატვირთულ საგანმანათლებლო რესურსზე აღნიშნულია მისი მდებარეობა - წიგნი ბათუმში აკადემიის ბიბლიოთეკაშია განთავსებული, თუ ფოთის ბიბლიოთეკაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Editor Free

როგორც ექსპერტებმა დაადგინეს ფოთის ფილიალს წიგნადი ფონდის ნაწილი გადაეცა აკადემიიდან, წიგნები იქნა აღწერილი და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული. ასევე მოხდა ზოგიერთი სასწავლო რესურსის დასკანერება და ელექტრონულად მისი განთავსება შესაბამის პორტალზე. პროფესიული განათლების მასწავლებლების წვდომას განახლებულ საკანონმდებლო აქტებზე უზრუნველყოფს იურიდიული სამსახური, რომელიც სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემის ავტორიზებული მომხმარებელია, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2021 წლის 22 იანვარს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი, დაახლოებით 200 კვ.მ-ის, სადაც განთავსებულია 60 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო მაგიდები, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით. პროფესიულ სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკისათვის დაგეგმილია კომპიუტერების შეძენა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება ბიბლიოთეკაში იმუშაონ ელექტრონულ რესურსებზე.

ექსპერტთა მიერ, ბიბლიოთეკაში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები და ყველა აღმოჩნდა ადგილზე.

პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს არ აქვთ მითითებული, რომ ბიბლიოთეკაში დაცულია მისი ელექტრონული ვერსია. შესაბამისად, სასურველია მოდულებში ელექტრონულ სასწავლო რესურსებს მითითებული ჰქონდეს, რომ ეს არის ელექტრონული ვერსია.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ირკვევა, რომ საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს, სხვა აპლიკანტების მსგავსად, შეუძლიათ დარეგისტრირდნენ მხოლოდ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზე დაშვებაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის წინაპირობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
მოდიფიკაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებით სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება.
7. აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს რენტაბელობის ზღვარს, შემოსავლის და ხარჯის სახეებსა და ოდენობას. რენტაბელობის ზღვარი შეადგენდა 0.61%-ს და გაურკვეველი იყო, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული ჩანაწერი. გამომდინარე იქიდან, რომ რენტაბელობის ზღვარმა გაურკვევლობა გამოიწვია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ რენტაბელობის ზღვარი დაეთვალათ პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობიდან, რომელთა შემთხვევაშიც პროგრამის განხორციელება იქნებოდა მდგრადი. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ბიუჯეტი, გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და პროგრამაზე რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრა 6 მსმენელი. სასურველია მსმენელის ნაცვლად, დაწესებულების მიერ გამოყენებული იყოს ტერმინი „პროფესიული სტუდენტი“, რადგან მსმენელი აღნიშნავს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის მონაწილეს.
ბიუჯეტით ირკვევა, რომ შემოსავლის წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. გაწერილი შემოსავლის ოდენობა სრულად ყოფნის იმ ხარჯს, რომელიც საჭიროა მასწავლებლის შრომის ანაზღაურების, მასალა-ნედლეულის, კომუნალური მომსახურების და სხვა ხარჯებისთვის. შესაბამისად, პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის - ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის დებულებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პირადი საქმეებით (კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით);
- ხელშეკრულებასთან გათანაბრებული წერილობითი დოკუმენტით;
- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ვებგვერდით https://www.bsma.edu.ge/
- მიღება-ჩაბარების/ჩუქების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუირებით;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვა. აკადემიის მიერ შემუშავებული და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი. აღნიშნული წესით ირკვევა, რომ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება რეგულარულ შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება გამოკითხვებისა და უფლებამოსილი პირების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული, ყოველწლიური შეფასების გზით. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასებას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ISO სტანდარტების უზრუნველყოფის სამსახურის აუდიტი. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასება გულისხმობს:

- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს;
- სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებას ურთიერთდასწრების გზით;
- პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს;
- სასწავლო მასალის მონიტორინგს;
- სასწავლო გარემოს მონიტორინგს;
- საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო მასალის პერიოდულ შემოწმებას;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზს;
- გარე ფაქტორების გათვალისწინებას (საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება).

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია შემდეგი კითხვარის ფორმები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამრთავრებულთა კითხვარი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი განმახორციელებელი პერსონალის მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- პროფესიული სტუდენტის მხარდამჭერი ღონისძიებების კითხვარი;
- დამსაქმებლის კითხვარი;
- სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- პროფესიული სტუდენტის კითხვარი.

2. აკადემია აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგებით გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირების ავტორი შესაძლოა იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებული პირი. ცვლილების განხილვა მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის მიერ და მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსს, რომელიც თავის მხრივ ცვლილებათა პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს საზღვაო აკადემიის სენატს. დუალური მიდგომით განსახორციელებელი პროგრამის შემთხვევაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ საწარმოს. ამავე პროგრამაში სხვისი ინიცირებით განსახორციელებელი ცვლილების შესახებ ასევე უნდა ეცნობოს საწარმოს. ინფორმაცია ცვლილების შესახებ დადგენილი წესით ეცნობება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს. თუ განსახორციელებელი ცვლილება თავის მხრივ ცვლის პროგრამის სწავლის შედეგებს და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიული ცენტრის შიდა გადაწყვეტილება განსახილველად ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ მიიღება სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე და ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრისთვის წინადადებების ინიცირებების გზით. შესაბამისად, სასურველია დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესში გაწერილი და გამიჯნული იყოს, როგორც ცენტრში ცვლილებების ინიცირების, ასევე საკუთარი ცვლილებების ინიცირების შესაძლებლობა. ასევე, როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ (მაგ: არის თუ არა ცვლილების შესახებ ინფორმაცია გასაგზავნი ცენტრში).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით;
- კითხვარის ფორმებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. პროგრამა ითვალისწინებს წინაპირობიან მოდულს და წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის გათვალისწინებულია სამკვირიანი ინტერვალი. ამას გარდა, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია დამატებით 20-20 სასწავლო კვირა მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1” სწავლებისთვის. ქართული ენა B1-ზე დაშვების წინაპირობაა „ქართული ენა A2”, თუმცა სასწავლო გეგმით ამ მოდულებს შორის არ იკვეთება ინტერვალი. ქართული ენის მოდულს (B1) საკონტაქტო და შეფასებისთვის გათვალისწინებული აქვს 296 საათი, ხოლო სასწავლო გეგმით გაწერილია 295 საათი. შესაბამისად, მიზანშეწონილია გასწორდეს სასწავლო გეგმაში არსებული შეუსაბამობა.
2. აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის ცვლებით ან/და დისტანციურად დაგეგმვა არის პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული. COVID 19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, ისინი გარკვეული პერიოდი ვერ ახორციელებდნენ პრაქტიკულ კომპონენტს, თუმცა შემდგომ მათ შეძლეს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. მათი თქმით, მომავალშიც სასწავლო პროცესი დაიგეგმება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებიდან გამომდინარე.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული მოდულების განხორციელებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები. დაწესებულების მიერ ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება შეზღუდული შესაძლებლობები, პროგრამაში ცვლილება ან მისი გაუქმება. სასურველია ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილებოდეს ყველა ისეთი შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უნდა უზრუნველყოფდეს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ასევე, სასურველია აღნიშნული წესი არ იყოს ინტეგრირებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესში.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია შპს „მბმ“-თან, შპს „პოსეიდონი“-სთან, შპს „პალიასტომი 2004“-თან, შპს „კაპიტალ ინვესტ ბათუმი“-სთან, „საქართველოს მეთევზეთა კავშირი 2015“-თან და შპს „ზღვის პროდუქტები“-თან. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული კომპანიებიდან, 2021 წელს მემორანდუმები გაფორმებულია მხოლოდ ორ კომპანიასთან - შავი ზღვის პროდუქტები და შპს საქართველოს მეთევზეთა კავშირი, რომელთა მემორანდუმში გათვალისწინებულია 80 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკის უზრუნველყოფა და, სადაც კონკრეტულად არის აღნიშნული ფოთის სასწავლო საწვრთნელი ცენტრის პროფესიული სტუდენტები. დანარჩენი მემორანდუმები გაფორმებულია 2017 და 2018 წლებში და ისინი მოიაზრებოდა აკადემიის ბათუმის პროფესიული ცენტრის თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის.

სასურველია გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს, გაწერილი იყოს მოდულები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმებში მითითებულია პროფესიულ სტუენტთა რაოდენობა, მაგრამ არ არის აღნიშნული კონკრეტულად რომელ გემებს სთავაზობს კომპანია პრაქტიკის გავლისთვის. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განაახლოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
პრაქტიკის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები და მას დამატებით დაურთოს იმ გემების სია, გემების მახასიათებლების მითითებით, სადაც მოხდება პროფესიული სტუდენტებისთვის პრატიკის გავლა.

6. სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აკადემიის მიერ წარმოდგენილია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის საზღვაო სასწავლო ცენტრის ფილიალის ადმინისტრაციული სამმართველოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანებები (2021 წლის 1 თებრვლის N02-15 და N02-16 ბრძანებები). ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ 2012 წლის 25 აგვისტოს დამტკიცებულია სასწავლო დანადგარების, აღჭურვილობის და საკონტროლო გამზომი საშუალებების ხარისხისა და უსაფრთხოების მართვის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ საზღვაო სპეციალისტების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისათვის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასები, ლაბორატორიები, სიმულატორები, სტენდები, რომლებშიც გამოიყენება საკონტროლო და გამზომი ხელსაწყოები, სწავლებისა და ტესტირების კომპიუტერული პროგრამები. მათ გამართულ მუშაობაზე დამოკიდებულია სწავლების ხარისხი და სასწავლო პროცესის უსაფრთხოება. საკონტროლო გამზომი ხელსაწყოების, დანადგარების, სასწავლო აღჭურვილობის, ტრენაჟერული და ლაბორატორიული ტექნიკის ფუნქციონალური დათვალიერება, გამოყენების წინ, ხორციელდება ქვედანაყოფის პერსონალის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დანადგარის/აღჭურვილობის ფუნქციონირებაზე თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად. დათვალიერების შედეგები აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. ექსპლუატაციის პროცესის დაწყებამდე, ტარდება დანადგარის, სასწავლო აღჭურვილობის, ტრენაჟერული და ლაბორატორიული ტექნიკის გამოყენების, სახანძრო და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი. ინსტრუქტაჟისათვის ხდება სპეციალური ინსტრუქციის შემუშავება, რომელსაც საფუძვლად შეიძლება დაედოს დამამზადებლის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია ან სპეციალური მითითებები. ინსტრუქტაჟის რეგისტრაცია წარმოებს სპეციალურ ჟურნალში. დანადგარის ტექნიკური მომსახურება ექსპლუატაციის პროცესში ხორციელდება პერსონალის მიერ თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, რომელსაც გააჩნია აუცილებელი მომზადება და გავლილი აქვს ინსტრუქტაჟი კონკრეტული ტიპის დანადგარის ექსპლუატაციისა და მომსახურების გაწევაზე.

სენატის 2020 წლის 21 აგვისტოს N14/2 გადაწყვეტილებით, ასევე დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა, სადაც გაწერილია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რისკების შეფასება, სახანძრო უსაფრთხოების წესები, ეპიდემიოლოგიურ საფრთხესთან დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულების ბრძანება „სახელმწიფო საკუთარებაში მიქცეული ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“;
- სასწავლო დანადგარების, აღჭურვილობის და საკონტროლო გამზომი საშუალებების ხარისხისა და უსაფრთხოების მართვით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით;
- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების საკითხები, შეფასების ინსტრუმენტის შიდა მონიტორინგის მექანიზმები, სწავლის შედეგების გასაჩირვების პროცედურა, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. სასურველია აღნიშნულ რეგულაციაში დამატებით გაწერილი იყოს შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ რა ვადებში ხდება პროფესიული სტუდენტის ინფორმირება, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს უფლება გავიდეს განმეორებით შეფასებაზე, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს, უკვე გამოყენებული თუ ახალი; სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების პროცედურაში გაწერილი იყოს, რა ვადაში ახდენს საჩივრის განხილვასა და შესაბამისი დასკვნის შემუშავებას ცენტრის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ასევე გაწერილია, რომ უარყოფითი შედეგის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე, თუკი ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აითვისოს წინმსწრები მოდული მომდევნო მოდულის დაწყებამდე, ან აითვისოს ორივე მოდული (წინმსწრები და მომდევნო) პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების ათვისების შემდეგ მომდევნო ჯგუფთან. ასევე, თუ სტუდენტი შედეგის დადასტურებაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს შეფასების აღდგენის თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრის უფროსს აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღისა. ამავე რეგულაციით ასევე გაწერილია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Expert Trial

სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე შესაძლებელია ერთი მიმართულების რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება (შედეგების გაერთიანება). თუ პროფესიული სტუდენტი ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით ვერ გამოცხადდა მოდულის ბოლოს, თუნდაც ბოლო სწავლის შედეგის შეფასებაზე, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, მას ისედაც აქვს უფლება გავიდეს განმეორებით შეფასებაზე. დაწესებულების მიერ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ძირითადად გათვალისწინებულია ორკვირიანი ინტერვალი, ხოლო საწარმოო პრაქტიკის მოდულისთვის სამკვირიანი ინტერვალი, ხოლო სწავლის შედეგის დადასტურებაზე ვერგამოცხადების შესაბამისი მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღის გათვალისწინებით, ორკვირიანი ინტერვალის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ისედაც ვერ დაიშვება იმ მოდულზე, რომელიც წარმოადგენს სხვა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობას. ასევე, არაა გაწერილი რა ვადებში ხდება საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების აღდგენა. ასევე, ამ შემთხვევაში ვრცელდება თუ არა ამავე წესის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნები (ფაქტიურად მე-13 პუნქტი არაა, რადგან მე-8 მუხლი იწყება მე-7 პუნქტით). ამავე რეგულაციაში ვხვდებით რამდენიმე ტექნიკურ ხარვეზს. კერძოდ, სხვადასხვა მიმართებები სხვადასხვა მუხლებსა თუ პუნქტებს შორის არასწორია, სხვადასხვა მუხლის მოთხოვნათა გავრცელების საკითხების მითითებისას, არასწორადაა მუხლი, ან/და პუნქტი გაწერილი და სხვა. ასევე, რეგულაციებში ვხვდებით პროფესიული განათლებისთვის შეუსაბამო ტერმინებს. მაგალითად, აკრედიტაცია, აკრედიტირებული დაწესებულება, მოწვეული მასწავლებელი, მოდულის ათვისება, სემესტრი და სხვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში საზღვაო აკადემიის შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შემდეგი არჩევანის საშუალება:

- პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძონ მოდიფირებულ პროგრამაზე;
- პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სასურველია აღნიშნულ რეგულაციაში იკვეთებოდეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთვევაში მას უფლება აქვს პროგრამა დაასრულოს მილევად რეჟიმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი სრულად გადაიხედოს, რადგან მათში გაწერილი წესები და ვადები სრულად გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან, ასევე კანონმდებლობიდან და დაეყრდნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N120/ნ ბრძანებას „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებას „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების“ შესახებ და 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებას „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ დამტკიცების შესახებ. ასევე, კანონმდებლობიდან გამომდინარე, გამოიყენოს პროფესიულ განათლებაში გამოყენებული ტერმინები ისე, რომ არ იკვეთებოდეს ბმა უმაღლეს განათლებაში გამოყენებულ ტერმინებთან.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით, განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირის კოორდინაციით შემდეგი მიმართულებებით:

- შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- შეფასების მტკიცებულებათ ვერიფიკაცია.

პირველ ეტაპზე ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შეფასება. მეორე ეტაპზე ხორციელდება შეფასების პროცესის შეფასება, ანუ ფასდება შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა, ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იყო თუ არა ჩაყენებული. მესამე ეტაპზე ხორციელდება სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობის შეფასება შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან.

რეგულაციით ირკვევა, რომ შეფასების მიზნებისთვის ნებადართულია მხოლოდ შეფასების ვერიფიცირებული ინსტრუმენტების გამოყენება. სასწავლო წლის დასაწყისში შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ დგება ვერიფიკაციის გეგმა შერჩევის მექანიზმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შესაბამისად, შერჩევის მექანიზმი ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს: მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების რაოდენობას; მოდულში სწავლის შედეგების გაერთიანების შესაძლებლობას; სწავლის პროცესში გამოყენებული ტექნოლოგიების არსებობას, რომლებიც იძლევიან შესრულებული სამუშაოს პროცესში შეფასების შესაძლებლობას; დამწყები მასწავლებლის ფაქტორს და სხვა.

ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფში შედის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილია ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ასევე, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი არ უნდა იყოს ვალიდაციის პროცესში ჩართული. გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით. ამასთან, აღნიშნული უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელ პირთან.

გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცებულებათა ვერიფიკაცია ხდება შერჩევით, უარყოფითი შედეგების დაფიქსირების შემთხვევაში სასურველია გაწერილი იყოს, რა ნაბიჯები გადაიდგმება ამის შემდეგ დაწესებულების მიერ. მაგალითად, მტკიცებულებათა შერჩევის ზომა გაიზრდება თუ სხვა. სასურველია რეგულაციით დამატებით გაწერილი იყოს, ვინ ახდენს ვერიფიკაციის დასკვნის შემუშავებას, ვისთან ხდება დასკვნის განხილვა და რა შემთხვევაში მუშავდება სამოქმედო გეგმა. ასევე, სასურველია რეგულაციაში გასწორდეს ტერმინები.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით, განსაზღვრულია, რომ შესრულების მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ. შესაბამისად, აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შეფასების დასრულების შემდეგ პროფესიული მასწავლებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ანალიზის საფუძველზე, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შედეგების შესახებ, აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნული არ იკვეთება რეგულაციით. შესაბამისად, მიზანშეწონილია არსებული პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

რეგულაციითაც დასტურდებოდეს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ რეგულაციაში ამ მხრიც ცვლილებების განხორციელება დაწყებულია, თუმცა ეს პროცესი წარმოების ფარგლებში დასრულებული არ იყო. ინტერვიუირებით ასევე დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის განხორციელების პროცესში იყენებენ განმავითარებელ შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	0 პროფესიული სტუდენტი სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღაო აკადემიის ფოთის ფილიალის საზღვაო-საწვრთნელი ცენტრი (ქ. ფოთი, წმ. გიორგის N24) სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N53
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-

დასაბუთება

დისტანციური წარმოების ფარგლებში განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო გარემოებში განთავსებული იყო აღჭურვილობებთან ერთად პროფესიულ სტუდენტთათვის სამუშაო მაგიდა და სკამი, თუმცა მათი რაოდენობა არ იყო საკმარისი, რადგან არ გამომდინარეობდა პროგრამაზე მოთხოვნილ ზღვრული რაოდენობიდან. დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი მერხების და სკამების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილია მხოლოდ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2021 წლის 02 აპრილის N319453 წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ სააგენტოსა და ერთ-ერთ ორგანიზაციას შორის გაფორმდა ხელშეკრულება სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვაზე, მაგრამ ეს პროცესი დასრულებული არ არის. ასევე, პროგრამის ფარგლებში არაა წარმოდგენილი გარკვეული მატერიალური რესურსის, პოსტერების, რუკების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ამასთან დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

20.05.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---